ოქმი:**ო37. 3724150001**

თარიღი:**29/05/2024**

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 28 მაისი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი. ა.ბურჭულაძე

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 24 წლის ბიუჯეტის 1 კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ’- განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა კომისიის დასკვნა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. საკითხი შეტანილ უნდა იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და ცხობად მიღების მიზნით.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების მიღების წესის დამტკიცების შესახებ’’-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაევალა, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს ბ. თოიძეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე

რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების სამუშაო ჯგუფმა გააკეთოს დასკვნა,რომელსაც წარმოადგენს საკრებულოს მორიგ სხდომაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით.

3.გარე რეკლამების განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების,აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაევალა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს ბ. თოიძეს, კომისიამ განიხილოს და დადოს დასკვნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით მორიგ საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ყველა საკითხი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი